საინვესტიციო პროექტების მართვის დანერგვის რეფორმის ფარგლებში საინვესტიციო პროექტების წინასწარი შერჩევის და შეფასების პილოტური ანალიზი

შინაარსი

I. საინვესტიციო პროექტების მართვის რეფორმის მიმდინარეობა 3

II. საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების შემაჯამებელი ანალიზი 2022-2025 წლების საშუალოვადიანი პერიოდისთვის 5

1. კაპიტალური პროექტების დანართი 5

2. ახალი საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მოკლე მიმოხილვა 7

1. სსიპ - კოლეჯი „ბლექსი" ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობა 9

2. ქალაქ თბილისის №10 საჯარო სკოლის მშენებლობა 13

3. ქალაქ თბილისის №128 საჯარო სკოლის სასწავლო კორპუსის მშენებლობა 16

4. ქალაქ თბილისის №11 საჯარო სკოლის მშენებლობა 19

5. ქალაქ თბილისის №83 საჯარო სკოლის მშენებლობა 22

6. ქალაქ თბილისის №97 საჯარო სკოლის მშენებლობა 25

7. სსიპ თბილისის ხელოვნების კოლეჯის მშენებლობა 28

8. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელე ხელოვნების კოლეჯის მშენებლობა 31

9. სსიპ კოლეჯის „ერქვანი" ტერიტორიაზე ახალი სასწავლო კორპუსის და საერთო საცხოვრებლის მშენებლობა 34

10. საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა (ADB) 37

11. თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის საგარეჯო-ბადიაურის მონაკვეთის მშენებლობა (WB) 38

12. თბილისის მეტროს პროექტი (EBRD) 40

13. ქალაქ თბილისის საბაგიროების პროექტი (AFD) 41

3. GIZ-ის მხარდაჭერით მომზადებული 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტები 43

III. საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების დანართები 44

დანართი №1 - საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების რეესტრი 44

დანართი №2 - საინვესტიციო კაპიტალური პროექტების კონცეფციის ბარათები და ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის დოკუმენტები 44

დანართი №3 - GIZ-ის მხარდაჭერით 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების ანალიზი 44

I. საინვესტიციო პროექტების მართვის რეფორმის მიმდინარეობა

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგიის ფარგლებში, საინვესტიციო პროექტების სრული ციკლის დანერგვა მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. რეფორმის ამ მიმართულებით საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წლების მანძილზე აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საფინანსო ინსტიტუტებთან.

მსოფლიო ბანკის მიერ მომზადებული სახელმწიფო ხარჯების მიმოხილვის (Public Expenditure Review) საფუძველზე, მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარებით მომზადდა საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევი და მეთოდოლოგია. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 აპრილის N191 დადგენილება „საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევის დამტკიცების თაობაზე“ და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 22 ივლისის N165 ბრძანება (ცვლილება „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანებაში). აღნიშნული გზამკვლევი და მეთოდოლოგია არეგულირებს 5 მლნ ლარზე მეტი ღირებულების საინვესტიციო პროექტების მომზადების, წინასწარი შერჩევის, შეფასების, ბიუჯეტირების, განხორციელების, მონიტორინგის და განხორციელების შემდგომი შეფასების პროცესებს.

საინვესტიციო პროექტების მართვის სრულყოფილად დანერგვის შედეგად გაუმჯობესდება საინვესტიციო პროექტების შერჩევის მექანიზმები და უზრუნველყოფილი იქნება ობიექტურ ანალიზზე დაფუძნებული პროექტების გათვალისწინება ბიუჯეტში. აღნიშნული კი თავის მხრივ გააუმჯობესებს საშუალოვადიან დაგეგმვას და სახელმწიფო ფინანსების ეფექტიანად გამოყენებას.

საინვესტიციო პროექტების მართვის რეფორმის დანერგვა კომპლექსური პროცესია, დაკავშირებულია მთელ რიგ სირთულეებთან შესაბამისი ცოდნის მიღებისა და ტრენინგების საჭიროების კუთხით. ამ მიზნით 2017 წლიდან შესაძლებლობების ფარგლებში, დონორების (WB, USAID, EU, GIZ და სხვა) მხარდაჭერით, უკვე ჩატარდა არაერთი ტრენინგი და სამუშაო შეხვედრა საქართველოს სამინისტროების და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისთვის და აქტიურად გრძელდება მუშაობა ამ მიმართულებით.

საინვესტიციო პროექტების მართვის რეფორმის თანმიმდევრული დანერგვის მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოთხოვნით 2018 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ტექნიკური დახმარების მისიის ფარგლებში მომზადდა საინვესტიციო პროექტების მართვის შეფასების დოკუმენტი (Public Investment Management Assessment Report - PIMA), შემუშავდა რეკომენდაციები და სამოქმედო გეგმა 2018-2021 წლებისთვის.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 8 ოქტომბრის №385 ბრძანებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი საინვესტიციო პროექტების შეფასების და შესაბამისი ღონისძიებების შესასრულებლად. დონორების მხარდაჭერით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ეხმარება როგორც საერთაშორისო, აგრეთვე ადგილობრივი ექსპერტი აღნიშნული სისტემის დანერგვასა და მეთოდოლოგიური მითითებების დახვეწაში.

საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევი ვრცელდება ყველა საინვესტიციო/კაპიტალურ პროექტზე, რომლის ღირებულება შეადგენს ან აღემატება 5 მლნ ლარს დაფინანსების წყაროს მიუხედავად (მ.შ. დონორების მიერ დაფინანსებული პროექტები და სახელმწიფო საწარმოების სახსრებით დაფინანსებულ პროექტებზე. ამასთან, სახელმწიფო კორპორაციებზე გზამკვლევი გავრცელდება იმ შემთხვევაში თუ საინვესტიციო პროექტის მთლიანი ღირებულება აჭარბებს მისი აქტივების 10%-ს).

შექმნილია საინვესტიციო პროექტების მართვის უწყებათაშორისი კომისია, ასევე საქართველოს ფინანსთა სამინისტროში შექმნილია სამუშაო ჯგუფი (საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 26 დეკემბრის N411 ბრძანება). აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებულია სამუშაო ჯგიფის დებულება და საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების რეესტრის ფორმა. ასევე, მომზადებულია საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების ელექტრონული მოდულის კონცეფცია. დაგეგმილია აღნიშნული მოდულის ინტეგრირება ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ პროგრამაში (ebudget.ge) მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით.

საინვესტიციო პროექტების მართვის დანერგვა მნიშვნელოვანი კომპონენტია ევროკავშირის ფინანსური დახმარების (EU - ეკონომიკური მმართველობა და ფისკალური ანგარიშვალდებულება) რეფორმის ფარგლებში.

გასათვალისწინებელია, რომ 2020 წელს მსოფლიოში ახალი კორონავირუსის (COVID 19) პანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა ეკონომიკურმა რეცესიამ გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკური პარამეტრების პროგნოზებზე და ბიუჯეტის, როგორც საშემოსავლო, ისე ხარჯვით ნაწილებზე. შეფერხდა როგორც არსებული საინვესტიციო პროექტების განხორციელება, ასევე შეზღუდულია ახალი პროექტების დასაფინანსებლად საჭირო სახსრები. მიუხედავად ამისა, წინამდებარე დანართით წარმოდგენილია ინფორმაცია 13 კაპიტალური პროექტის შესახებ. ასევე წარმოდგენილია GIZ-ის მხარდაჭერით მომზადებული წინასწარი შერჩევის ანალიზები მუნიციპალურ პროექტებთან მიმართებაში, რომლებიც ხორციელდება მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული, EU მხარდაჭერილი „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში“.

II. საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების შემაჯამებელი ანალიზი 2022-2025 წლების საშუალოვადიანი პერიოდისთვის

1. კაპიტალური პროექტების დანართი

„საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის თანდართული კაპიტალური პროექტების დანართი მოიცავს ინფორმაციას 2022-2025 წლების საშუალოვადიანი პერიოდისთვის სახელწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული, „კაპიტალურ პროექტად კლასიფიცირებული“ პროგრამების და ქვეპროგრამების ფარგლებში მიმდინარე და განსახორციელებელი საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების შესახებ. კაპიტალური პროექტების დანართი მოიცავს კაპიტალურ პროექტად კლასიფიცირებული პროგრამების/ქვეპროგრამების შესახებ შემდეგ ინფორმაციას:

- პროექტის პროგრამული კოდი და პროექტის დასახელება;
- პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი;
- პროექტის განმახორციელებელი;
- პროექტის აღწერა და მიზანი;
- პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი;
- დეტალური ინფორმაცია პროექტის შესახებ;
- პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი;
- კაპიტალური პროექტების დაფინანსების მოცულობები, კერძოდ, გასული წლის ჩათვლით პროექტის ფაქტიური ხარჯი, მიმდინარე წლის გეგმა, დაფინანსების მოცულობები დასაგეგმი საშუალოვადიანი (4 წლიანი) პერიოდისთვის წლების მიხედვით და პროექტის მთლიანი ღირებულება.

კაპიტალური პროექტების დანართის მომზადება საბიუჯეტო განაცხადის ნაწილია და ხორციელდება ბიუჯეტის მართვის ელექტრონული პროგრამის (eBudget.ge) მეშვეობით.

„საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის თანდართული კაპიტალური პროექტების დანართი მომზადებულია მხარჯავი დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე და მოიცავს 72 კაპიტალურ პროექტად კლასიფიცირებულ პროექტს (პროგრამა/ქვეპროგრამა) ჯამური მოცულობით 2022 წელს 3,7 მილიარდ ლარზე მეტია, ხოლო პროექტების მთლიანი ღირებულება 2022-2025 წლებში 26 მილიარდ ლარამდეა. აღნიშნული პროექტების მთლიანი ღირებულების 96 პროცენტამდე მიმდინარე, უკვე დაწყებული პროექტებია, რომელიც ძირითადად ხორციელდება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ, საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, (ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობა, შიდასახელმწიფოებრივი გზების მშენებლობა/რეაბილიტაცია), რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციის მიმართულებით, ასევე საჯარო სკოლების რეაბილიტაციის მიმართულებით.

კაპიტალური პროექტების დანართში ასევე წარმოდგენილია: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ განსახორციელებელი პროექტების ფარგლებში

სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარებისა და მოსახლეობის ელექტროენერგიითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესების მიმართულებით კაპიტალური პროექტები; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები.

კაპიტალური პროექტების დანართში წარმოდგენილი პროექტებიდან 3 პროექტი წარმოადგენს ახალ კაპიტალურ პროექტს, რომელთა დაფინანსების მოცულობა ამ დანართში წარმოდგენილი პროექტების დაფინანსების მოცულობის 3.5 პროცენტს შეადგენს 2022 წლისთვის, რაც საშუალოვადიან პერიოდში პროექტების ჯამური ღირებულების 4.2 პროცენტს შეადგენს.

ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია კაპიტალური პროექტების დანართში ახალი პროექტების და მათი დაფინანსების მოცულობების შესახებ 2022 წლის და 2022-2025 წლების საშუალოვადიანი პერიოდისთვის მლნ ლარებში:

პროგრამული კოდი	**დასახელება**	**2022-2025 წლები**			**მათ შორის 2022 წლის პროექტი**		
		სულ ჯამი	**მ.შ. საბიუჯეტო სახსრები**	**მ.შ. დონორის დაფინანსება**	**სულ ჯამი**	**მ.შ. საბიუჯეტო სახსრები**	**მ.შ. დონორის დაფინანსება**
25 02 03 15	თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის საგარეჯო-ბადიაურის მონაკვეთის მშენებლობა (WB)	259,0	44,0	215,0	4,0	4,0	0,0
55 13 05	საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (ADB)	14,2	3,1	11,2	10,0	2,0	8,0
55 13 08	თბილისის მეტროს პროექტი (EBRD)	350,9	61,5	289,4	117,5	17,5	100,0
ახალი პროექტების ჯამი		**624,2**	**108,6**	**515,6**	**131,5**	**23,5**	**108,0**
სულ კაპიტალური პროექტების დანართით წარმოდგენილი პროექტების ჯამი		**14 890,3**	**8 413,9**	**6 476,4**	**3 726,1**	**1 966,9**	**1 759,2**
ახალი პროექტების პროცენტული მაჩვენებელი ჯამურ მაჩვენებელთან		**4,2%**	**1,3%**	**8,0%**	**3,5%**	**1,2%**	**6,1%**
ახალი პროექტების ჯამი რომელზეც ვრცელდება PIM გზამკვლევი		**350,9**	**61,5**	**289,4**	**117,5**	**17,5**	**100,0**
მათ შორის გავლილი აქვს PIM		*350,9*	*61,5*	*289,4*	*117,5*	*17,5*	*100,0*
%		***100%***	***100%***	***100%***	***100%***	***100%***	***100%***

როგორც ცხრილიდან ჩანს, კაპიტალური პროექტების დანართში წარმოდგენილი ახალი პროექტები, რომლებიც აკმაყოფილებენ საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევის მოთხოვნებს, სრულად შეფასებულია აღნიშნული გზამკვლევის მიხედვით.

დამატებით ინიციატორი უწყებების მიერ წარმოდგენილი საინვესტიციო-კაპიტალური პროექტები, რომლებიც ფინანსდება ინფრასტრუქტურის მიმართულებით სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული სხვა პროგრამების ასიგნებებიდან, რომელიც არ არის ასახული კაპიტალური ბიუუჯეტის დანართში, წარმოდგენილია წინამდებარე დოკუმენტში.

პროექტების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ამ თავის მე-2 ნაწილში.

2. ახალი საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მოკლე მიმოხილვა

საინვესტიციო პროექტების მართვის დანერგვის ციკლის ფარგლებში პირველად 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის პაკეტის შემადგენელი ნაწილი გახდა ახალი საინვესტიციო პროექტების ეკონომიკური ანალიზები და წარედგინა საქართველოს პარლამენტს შემაჯამებელ ანგარიშთან ერთად.

წარმოდგენილი ინფორმაცია აჯამებს სამუშაო ჯგუფის მიერ განხილულ 13 საინვესტიციო/კაპიტალურ პროექტს. მათ შორის, 9 პროექტი წარმოდგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, 1 პროექტი წარმოდგენილია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ, ხოლო 3 პროექტი განხილულია დონორებთან თანამშრომლობის ფარგლებში. პროექტების ეკონომიკური ანალიზი ემყარება ინიციატორი უწყების მიერ წარმოდგენილ დაშვებებს.

წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს მოკლე შემაჯამებელ ინფორმაციას ყველა პროექტთან მიმართებაში, მათ შორის ძირითად დაშვებებს, მსჯელობის ლოგიკას და ანალიზის შედეგებს (NPV, IRR, ENPV, EIRR). დოკუმენტს თან ახლავს დანართები, რომელიც მოიცავს თითოეული პროექტის ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზს, მათ შორის დაშვებებს და მათგან გამომდინარე კალკულაციებს, პროექტის შექმნის, შენახვისა და ოპერირების ხარჯებს პროექტის სრული ციკლის მანძილზე (ანალიზის პერიოდი განსაზღვრულია მეთოდოლოგიით), შემოსავლების პროგნოზებს და მათ ალტერნატივებს.

პროექტების ნაწილისათვის სამუშაო ჯგუფს შესაძლებლად მიაჩნია მათი შემდგომ ეტაპზე გადასვლა და ხარჯების საშუალოვადიან პროგნოზებში მათი ასახვა. ნაწილისათვის რეკომენდირებულია დამატებითი ანალიზი შემდგომ ეტაპზე გადასასვლელად, ხოლო პროექტების ნაწილის დაფინანსებასთან მიმართებაში სამუშაო ჯგუფს ამ ეტაპზე მიზანშეწონილად არ მიაჩნია მათი ხარჯების პროგნოზებში ასახვა.

სამუშაო ჯგუფი კვლავ აგრძელებს ამ პროექტების, ასევე სხვა ახალი პროექტების ანალიზზე და დაშვებების დახვეწაზე მუშაობას და დონორული მხარდაჭერით შესაბამის ექსპერტებთან თანამშრომლობას.

ქვემოთ განხილულია სამუშაო ჯგუფის მიერ შეფასებული შემდეგი საინვესტიციო პროექტების შემაჯამებელი ინფორმაცია:

1. სსიპ - კოლეჯი ,,ბლექსი'' ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობა
2. ქალაქ თბილისის №10 საჯარო სკოლის მშენებლობა
3. ქალაქ თბილისის №128 საჯარო სკოლის სასწავლო კორპუსის მშენებლობა
4. ქალაქ თბილისის №11 საჯარო სკოლის მშენებლობა
5. ქალაქ თბილისის №83 საჯარო სკოლის მშენებლობა
6. ქალაქ თბილისის №97 საჯარო სკოლის მშენებლობა
7. სსიპ თბილისის ხელოვნების კოლეჯის მშენებლობა
8. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელე ხელოვნების კოლეჯის მშენებლობა
9. სსიპ კოლეჯის „ერქვანი“ ტერიტორიაზე ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობა
10. თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის საგარეჯო-ბადიაურის მონაკვეთის მშენებლობა (WB)
11. საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა (ADB)

12. თბილისის მეტროს პროექტი (EBRD)
13. ქალაქ თბილისის საბაგიროების პროექტი (AFD)

დეტალური ინფორმაცია პროექტების კონცეფციის ბარათების და ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ანალიზების შესახებ წარმოდგენილია დანართ №2-ში.

1. სსიპ - კოლეჯი ,,ბლექსი'' ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობა

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
პროექტის დასახელება	სსიპ კოლეჯი ,,ბლექსი'' ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობა
პროექტის წარმდგენი მხარჯავი დაწესებულება/უწყება	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
პროექტის მოკლე აღწერა	სსიპ - კოლეჯის ,,ბლექსი" იურიდიული მისამართია - ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. №92ა. შენობის საერთო ფართობი შეადგენს 2071,9 კვ.მ.-ს. კოლეჯი ახორციელებს 13 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას: მათ შორის, 4 პროგრამა ხორციელდება მხოლოდ დუალური მიდგომით: 4 პროგრამა, როგორც მოდულური, ასევე დუალური მიდგომით: ხოლო 2 პროგრამა - ინტეგრირებული მიდგომითაც. აღნიშნული ავტორიზებული პროგრამების საფუძველზე კოლეჯს შემუშავებული აქვს 19 პროფესიული მოზადებისა და პროფერსიული გადამზადების პროგრამა და ახორციელებს მათ პარტნიორ დამსაქმებლებთან თანამშრომლობით. შენობა, რომელშიც ამჟამად განთავსებულია კოლეჯი არის ავარიული, რაც დასტურდება სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობიოს სახელმწიფო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2013 წლის 30 ოქტომბრის დასკვნით. შენობის ფართის სიმცირის გამო ვერ ხერხდება შრომის ბაზარზე მოთხოვნადი ახალი პროგრამების დანერგვა, რაც უკვე ახალ სივრცეში არის გათვალისწინებული. აჭარა ტურისტული რეგიონია, სადაც ფართო მასშტაბით მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული მშენებლობები. შესაბამისად, მაღალია მოთხოვნა ტურიზმისა და მშენებლობის მიმართულებების მაღალკვალიფიციურ კადრებზე და აღნიშნული სექტორების განვითარებისათვის საჭირო სხვა მომიჯნავე დარგებზე. აღსანიშნავია ასევე, რეგიონში ფართო სპექტრით წარმოდგენილი სამკერვალო ფაბრიკები, რომლებსაც სამუშაო ძალის მუდმივი საჭიროება გააჩნიათ. მოცემულ ეტაპზე სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი" ინფრასტრუქტურა ვერ აკმაყოფილებს ზემოხსენებულ სექტორებში დამსაქმებლის მზარდ მოთხოვნას. ამასთან, პროფესიული განათლების მიღმა რჩება ბევრი დაინტერესებული პირი. ბოლო სამი წლის სწავლის მსურველთა რაოდენობა 3 - ჯერ აღემატებოდა კოლეჯის მიერ გამოყოფილი ადგილების რაოდენობას. კერძოდ: 2018 წელს სწავლის მსურველთა

	რაოდენობა შეადგენდა 639 პირს, ჩაირიცხა - 220 პირი, 2019 წელს აპლიკანტების რაოდენობა შეადგენდა 703-ს და ჩაირიცხა 221 სტუდენტი, ხოლო 2020 წელს გამოცხადებულ 162 ადგილზე დარეგისტრირდა 541 პირი. 2018 წლის კურსდამთავრებულთა მაჩვენებელია 64%, ხოლო 2019 წლის 59%.
საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება	პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია ,,ტურიზმის'', ,,მშენებლობის'', ,,ტრანსპორტის'', ,,IT ტექნოლოგიებისა'' და ,,ტექსტილის'' მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, რაც ითვალისწინებს მინიმუმ 500 პროფესიული სტუდენტის ერთდროულად სწავლის საშუალებას. ასევე, აღნიშნული მიმართულებების ფარგლებში კოლეჯი დამატებით განახორციელებს პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებს, რაც აღმოფხვრის იმ დეფიციტს, რაც იკვეთება შრომის ბაზარზე კადრების რაოდენობრივი თუ ხარისხობრივი დეფიციტის ფარგლებში. პროექტის ფარგლებში ახალი შენობა შესაძლებლობას მისცემს დაწესებულებას გაორმაგოს კოლეჯში ამ ეტაპზე არსებული საკვალიფიკაციო და მომზადება-გადამზადების პროგრამების რაოდენობა. ხოლო სტუდენტების რაოდენობა 3-ჯერ გაიზრდება.
შეფასების პერიოდი	15 წელი

<u>დაშვებები:</u>

წარმოდგენილი პროექტის ფინანსური მახასიათებლები		
	არაფრის კეთება	ახლის აშენება
მოთხოვნილი დაფინანსება	-	14,150,000 ₾
კაპიტალური ხარჯი	-	14,150,000 ₾
საშუალო წლიური ხარჯები[1]	1 343 779,5 ₾	1 770 240,8 ₾
საშუალო წლიური შემოსავალი[2]	**1 794 620,3 ₾**	**3 085 489,7 ₾**

[1] ხარჯებში შედის: საექსპლუატაციო ხარჯები, აუცილებელი რემონტის ხარჯი, ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი; ტექნიკური პერსონალის ხელფასი

NPV[3]	4 900 276,1 ₾	-1 833 357,25 ₾
IRR[4]	-	6%
B/C[5]	1,43	0,93

სამუშაო ჯგუფის მოსაზრება და რეკომენდაცია:

წარმოდგენილი პროექტი შეფასდა 15 წლის პერსპექტივაში (მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ვადების მიხედვით). პასუხისმგებელი უწყების მიერ წარმოდგენილი მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ პროექტი ფინანსურად არ არის მომგებიანი (დეტალური გამოთვლებისათვის იხილეთ დანართი). თუმცა, პროექტი სოციალურად მნიშვნელოვანია, ქმნის საზოგადოებრივ სიკეთეს და პროექტის განხორციელებით გრძელვადიან პერსპექტივაში ხელი შეეწყობა ეკონომიკურ განვითარებას. განათლებისა და მეცნიერების სახელმწიფო პოლიტიკის მიზანია განათლების უწყვეტი და მდგრადი სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ნებისმიერი ასაკის ადამიანის განვითარებას, მისთვის როგორც სრულფასოვანი ცოდნის მიწოდებას, ასევე ამ ცოდნის შემოქმედებითი დამუშავების და პრაქტიკული გამოყენების უნარებით აღჭურვასაც.

პროექტი წარმოდგენილი იყო 2020 წელს, 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინების მიზნით დასაფინანსებლად. სამუშაო ჯგუფში განხილვის შედეგად, სოციალური ასპექტების გათვალისწინებით, პროექტი გადავიდა შეფასების შემდგომ ეტაპზე, თუმცა დამატებით საჭირო იყო განხილვა.

2021 წელს დამატებით წარმოდგენილ იქნა დაზუსტებული ინფორმაცია და განახლებული გაანგარიშებები (მათ შორის, ბაზრის კვლევის საფუძველზე პროექტის ღირებულების მთლიანი მოცულობა შემცირებულია 1 მლნ ლარით, თუმცა მოსალოდნელია, რომ რეალურად პროექტის ღირებულება შემცირდეს ტენდერის გამოცხადების შემდეგ).

დამატებით განხილვის შემთხვევაში, საშუალოვადიან პერიოდში შესაძლებელია პროექტის გათვალისწინება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ასიგნებების ფარგლებში.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადსაგანმათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი - 32 07 02) პროგრამისთვის გათვალისწინებული ჯამური ასიგნებების ფარგლებში ხორციელდება საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოები. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის

[3] იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, NPV უნდა იყოს დადებითი

[4] იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს

[5] იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.

პროექტით გათვალისწინებულია 24,8 მლნ ლარი, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია პროექტის დაფინანსება, დამატებით დეტალური განხილვის შემთხვევაში.

დანართი №2: გთხოვთ, იხილეთ კალკულაციების და კონცეფციის დოკუმენტები

2. ქალაქ თბილისის №10 საჯარო სკოლის მშენებლობა

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
პროექტის დასახელება	ქალაქ თბილისის №10 საჯარო სკოლის მშენებლობა
პროექტის წარმდგენი მხარჯავი დაწესებულება/უწყება	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
პროექტის მოკლე აღწერა	აღნიშნული პროექტის განხორციელების შედეგად, გლდანი-ნაძალადევის რაიონს შეემატება ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულება. სსიპ - ქ. თბილისის №10 საჯარო სკოლა აშენდება 3,717 კვ.მ ფართობის ტერიტორიაზე., შესაძლებელია სამსართულიანი 700 (1,400 მოსწავლე ორ ცვლაში) მოსწავლეზე გათვლილი სკოლის შენობის აშენება. მოსწავლეებს ექნებათ სსიპ - ქალაქ თბილისის №10 საჯარო სკოლის ინოვაციური, ენერგოეფექტური, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი შენობა, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს სწავლა-სწავლების თანამედროვე მოთხოვნებს. სასწავლო პროცესის ორ ცვლაში დაგეგმვის შემთხვევაში, დაკმაყოფილდება მოსწავლეთა სრული კონტიგენტი ისე, რომ არ მოხდეს მათი იძულებითი გადინება სხვა სკოლებში.
საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება	ამჟამად სკოლაში ყოველგვარი სტანდარტების გარეშე სწავლობს 1,300-ზე მეტი მოსწავლე, მათ შორის 20-მდე მოსწავლე სსსმ სტატუსით. სკოლას არ გააჩნია თანამედროვე კლასკაბინეტები, სააქტო და დახურული სპორტული დარბაზი. ბოლო ორი წლის განმავლობაში სკოლის ავარიული ფლიგელი გაუქმებულია და სკოლა ფუნქციონირებდა ორ ცვლაში, შენობის უსაფრთხო ნაწილში. 2019-2020 სასწავლო წელს სააგენტოს მოთხოვნით, დაუყოვნებლივ მოხდა მოსწავლეთა გადაყვანა ალტერნატიულ ფართში, ქ. თბილისის N22 საჯარო სკოლის შენობაში, ვინაიდან სკოლის შენობას ემატებოდა დაზიანებები და მოსწავლეთა და მასწავლებელთა ჯანმრთელობას ექმნეოდა საფრთხე. სასწავლო პროცესი წარიმართა ორ ცვლაში. სამინისტროს მიერ გარემონტდა N22 საჯარო სკოლის ფლიგელი, მოეწყო დამატებითი საკლასო ოთახები, უზრუნველყოფილი იქნა მოსწავლეთა ტრანსპორტირება N10 საჯარო სკოლიდან N22 საჯარო სკოლამდე. მიუხედავად იმისა, რომ ალტერნატიული ფართი მოწყობილია N10 საჯარო სკოლის საჭიროებების შესაბამისად, ერთი სკოლის შენობაში ორი საჯარო სკოლის ფუნქციონირება გარკვეულ რისკებს შეიცავს.

	განსაკუთრებით, საყურადღებოა, ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციების შესრულების ვალდებულება, რომელიც დადგენილია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ. აღნიშნული რეკომენდაციების სრულად და ხარისხიანად შესრულება მოითხოვს ადამიანური და ფინანსური რესურსის დიდ დანახარჯს. სასწავლო ფართის სიმცირის გამო შეუძლებელია საკლასო ოთახებში ერთმეტრიანი დისტანციის დაცვით ყველა მოსწავლის მიღება, შესაბამისად, N10 საჯარო სკოლა იძულებულია, მოსწავლეთა რაოდენობის შემცირების მიზნით, გამოიყენოს სწავლების შერეული მოდელი და გარკვეული კლასები გადაიყვანოს სწავლების სრულად ან ნაწილობრივ ელექტრონულ მოდელზე.
შეფასების პერიოდი	15 წელი

<u>დაშვებები:</u>

წარმოდგენილი პროექტის ფინანსური მახასიათებლები		
	არაფრის კეთება	ახალი სკოლის აშენება
მოთხოვნილი დაფინანსება[6]	-	11 153 896 ₾
საშუალო წლიური ხარჯები[7]	2 551 845 ₾	2 125 229 ₾
საშუალო წლიური შემოსავალი[8]	2 194 927₾	1 964 927 ₾
NPV[9]	808 572 ₾	-10 957 812,33 ₾
IRR[10]	3%	-
B/C[11]	1,04	0,60

[6] ახალი სკოლის აშენების შემთხვევაში პროექტის ჯამური ღირებულებაა 11 153 000 ლარი, სადაც კაპიტალური ხარჯი შეადგენს 10 638 896 ლარს, სკოლის აღჭურვის ხარჯია - 500 000 ლარი, ხოლო კვლევის ხარჯი - 15 000 ლარი

[7] ხარჯებში შედის: საექსპლუატაციო ხარჯები, აუცილებელი რემონტის ხარჯი, ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის ხელფასი; აკადემიური პერსონალის ხელფასი, სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირების ხარჯები

[8] შემოსავლებში შედის საჯარო სკოლის ვაუჩერული დაფინანსებიდან მიღებული შემოსავალი

[9] იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, NPV უნდა იყოს დადებითი

[10] იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს

[11] იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.

სამუშაო ჯგუფის მოსაზრება და რეკომენდაცია:

წარმოდგენილი პროექტი შეფასდა 15 წლის პერსპექტივაში (მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ვადების მიხედვით). პასუხისმგებელი უწყების მიერ წარმოდგენილი მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ პროექტი ფინანსურად არ არის მომგებიანი 15 წლიან პერსპექტივაში (დეტალური გამოთვლებისათვის იხილეთ დანართი).

თუმცა, პროექტი სოციალურად მნიშვნელოვანია, ქმნის საზოგადოებრივ სიკეთეს და პროექტის განხორციელებით გრძელვადიან პერსპექტივაში ხელი შეეწყობა ეკონომიკურ განვითარებას. განათლებისა და მეცნიერების სახელმწიფო პოლიტიკის მიზანია განათლების უწყვეტი და მდგრადი სისტემის შექმნა. ასევე, პროექტი შესაბამისობაშია გაეროს მდგრადი განვითარების ეროვნულ მიზნებთან (4.ა.1).

პროექტის წარმომდგენის მიერ არსებული დასკვნის საფუძველზე მიზანშეუწონელია სკოლის რეაბილიტაცია, ამიტომ პროექტში წარმოდგენილია ორი ალტერნატივა არაფრის კეთება, სადაც განხილულია არსებული სიტუაციის ანალიზი და ახალი სკოლის აშენება.

უნდა აღინიშნოს, რომ ერთ შენობაში დილის და საღამოს ცვლებში ორი სკოლის ფუნქციონირება საფრთხეს უქმნის მოსწავლეთა უსაფრთხოებას, შეუძლებელს ხდის მოსწავლეებისთვის სრულფასოვანი განათლების მიღების შესაძლებლობას, ასევე დისკომფორტს უქმნის მშობლებს გაზრდილ დისტანციაზე შვილების ტრანსპორტირების პროცესში. პროექტის განხორციელების შედეგად, გლდანი-ნაძალადევის რაიონს შეემატება ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულება.

პროექტი წარმოდგენილი იყო 2020 წელს, 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინების მიზნით დასაფინანსებლად. სამუშაო ჯგუფში განხილვის შედეგად, სოციალური ასპექტების გათვალისწინებით, პროექტი გადავიდა შეფასების შემდგომ ეტაპზე, თუმცა დამატებით საჭირო იყო განხილვა.

2021 წელს დამატებით წარმოდგენილ იქნა დაზუსტებული ინფორმაცია და განახლებული გაანგარიშებები (მათ შორის, ბაზრის კვლევის შედეგად პროექტის ღირებულების მთლიანი მოცულობა გაზრდილია 2.7 მლნ ლარით, თუმცა მოსალოდნელია, რომ რეალურად პროექტის ღირებულება შემცირდეს ტენდერის გამოცხადების შემდეგ). ამასთან, დამატებით განხილვის შემთხვევაში, პროექტის სოციალური ასპექტების გათვალისწინებით საშუალოვადიან პერიოდში შესაძლებელია პროექტის გათვალისწინება საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს ასიგნებების ფარგლებში.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადსაგანმათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი - 32 07 01) პროგრამისთვის გათვალისწინებული ჯამური ასიგნებების ფარგლებში ხორციელდება საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოები. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია 66,5 მლნ ლარი, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია პროექტის დაფინანსება, დამატებით დეტალური განხილვის შემთხვევაში.

დანართი №2: გთხოვთ, იხილეთ კალკულაციების და კონცეფციის დოკუმენტები

3. ქალაქ თბილისის №128 საჯარო სკოლის სასწავლო კორპუსის მშენებლობა

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
პროექტის დასახელება	ქალაქ თბილისის №128 საჯარო სკოლის სასწავლო კორპუსის მშენებლობა
პროექტის წარმდგენი მხარჯავი დაწესებულება/უწყება	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
პროექტის მოკლე აღწერა	სკოლის კუთვნილ 5828 კვ.მ მიწის ნაკვეთზე დამხმარე სასწავლო კორპუსში განთავსდება დამატებით საკლასო ოთახები, საგნობრივი კაბინეტები, სკოლის სპორტული და სააქტო დარბაზები, სასადილო, სსსმ მოსწავლეთათვის რესურსოთახი და სხვა. ამ მნიშვნელოვანი თხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სკოლის საზოგადოება არ იქნება წინააღმდეგი ა(ა)იპ - სულხან ცინცაძის სახელობის N16 ხელოვნების სკოლას გადაეცეს მის მიერ დაკავებული 591.92 კვ.მ ფართი (ხელოვნების სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე სკოლის საზოგადოება არ მიიჩნევს მიზანშეწონილად მის განთავსებას სკოლისთვის ასაშენებელ ახალ სასწავლო კორპუსში). ხელოვნების სკოლა შეძლებს კანონიერი საფუძვლით გადაცემული ფართის რეაბილიტაციის შედეგად მოწესრიგებულ გარემოში მიიღოს და არაფორმალურ განათლებაში ჩართოს სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსწავლეები.
საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება	სკოლის მდგომარეობა მართლაც კრიტიკულია, რადგან არ აქვს შემდეგი საჭიროების ფართები: სპორტული და სააქტო დარბაზები; რესურს-ოთახი სსსმ მოსწავლეებისათვის (სკოლაში 19 სსსმ მოსწავლე სწავლობს); სტანდარტული ზომის სასადილო; საკლასო ოთახების უმეტესობა მცირე ზომისაა (35-40 კვ.);საგნობრივი კაბინეტები (ბიოლოგიის, ფიზიკის); საპირფარეშოების რაოდენობა მცირეა (სტანდარტიდან გამომდინარე 1000 მოსწავლეზე მინიმუმ 6 საპირფარეშოა საჭირო; სკოლაში სულ 3 საპირფარეშოა, ვაჟებისათვის გამოყოფილია მხოლოდ ერთი). სკოლის ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარების ერთადერთი რეალური გზა სკოლის სარგებლობაში არსებული 5828 კვ.მ მიწის ნაკვეთის ეფექტურად გამოყენებაა. ამ მიწის ნაკვეთზე ადრეც იდგა ერთსართულიანი შენობა, რომელშიც განთავსებული იყო სპორტული და სააქტო დარბაზები, ბიბლიოთეკა და სწავლებისთვის საჭირო სხვა ფართი. სამწუხაროდ, 90-იან წლებში ეს შენობა დაინგრა მაშინდელი განათლების სამინისტროს მიერ ახლის აშენების მოტივაციით.

	დანგრევის შემდეგ ეს მიწის ნაკვეთი გასხვისებულ იქნა უკანონოდ და სკოლას მრავალწლიანი ბრძოლის შედეგად სასამართლოს გზით დაუბრუნდა თავის სარგებლობაში. ასეთი ვითარების გამო სკოლა ყოველწლიურად ზღუდავს ახალი კონტინგენტის მიღებას, თუმცა სკოლაში სწავლის მსურველთა რიცხვი დიდია. ფართის დეფიციტი უარყოფითად აისახება მშობლებისა და მოსწავლეების განწყობაზე. ისინი აპროტესტებენ საპირფარეშოების ნაკლებობას, აგრეთვე იმასაც, რომ მოსწავლეებს სპორტის გაკვეთილებზე მცირე ზომის საკლასო ოთახებში უწევთ ვარჯიში; ხელი ეშლება სკოლაში სპორტული აქტივობების ჩატარებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სხვა.
შეფასების პერიოდი	15 წელი

<u>დაშვებები:</u>

წარმოდგენილი პროექტის ფინანსური მახასიათებლები		
	არაფრის კეთება	სკოლის სასწავლო კორპუსის მშენებლობა
მოთხოვნილი დაფინანსება[12]	-	8 500 000 ₾
საშუალო წლიური ხარჯები[13]		913 336,3 ₾
საშუალო წლიური შემოსავალი[14]		958 969,9 ₾
NPV[15]		-7 144 466,28 ₾
IRR[16]		-
B/C[17]		0,53

[12] სასწავლო კორპუსის მშენებლობის შემთხვევაში პროექტის ჯამური ღირებულებაა 8 500 000 ლარი, სადაც კაპიტალური ხარჯი შეადგენს 8 000 000 ლარს, ხოლო სკოლის აღჭურვის ხარჯია - 500 000 ლარი

[13] ხარჯებში შედის: საექსპლუატაციო ხარჯები, აუცილებელი რემონტის ხარჯი, ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის ხელფასი; აკადემიური პერსონალის ხელფასი

[14] შემოსავლებში შედის საჯარო სკოლის ვაუჩერული დაფინანსებიდან მიღებული შემოსავალი

[15] იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, NPV უნდა იყოს დადებითი

[16] იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს

[17] იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.

სამუშაო ჯგუფის მოსაზრება და რეკომენდაცია:

წარმოდგენილი პროექტი შეფასდა 15 წლის პერსპექტივაში (მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ვადების მიხედვით). პასუხისმგებელი უწყების მიერ წარმოდგენილი მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ პროექტი ფინანსურად არ არის მომგებიანი 15 წლიან პერსპექტივაში (დეტალური გამოთვლებისათვის იხილეთ დანართი).

თუმცა, პროექტი სოციალურად მნიშვნელოვანია, ქმნის საზოგადოებრივ სიკეთეს და პროექტის განხორციელებით გრძელვადიან პერსპექტივაში ხელი შეეწყობა ეკონომიკურ განვითარებას. განათლებისა და მეცნიერების სახელმწიფო პოლიტიკის მიზანია განათლების უწყვეტი და მდგრადი სისტემის შექმნა. ასევე, პროექტი შესაბამისობაშია გაეროს მდგრადი განვითარების ეროვნულ მიზნებთან (4.ა.1).

1,100 მოსწავლეზე გათვლილ სკოლაში სასწავლო პროცესი ხორციელდება ფართის მწვავე დეფიციტის პირობებში. ისედაც პატარა შენობის მდგომარეობა დამძიმებულია იმითაც, რომ სკოლის კანონიერ სარგებლობაში არსებულ ერთ ფლიგელში (მძიმე ინფრასტრუქტურულ მდგომარეობაში არსებულ ფართში) წლებია განთავსებულია ა(ა)იპ - სულხან ცინცაძის სახელობის N16 ხელოვნების სკოლა. გამომდინარე აქედან, სკოლის ფუნქციონირება საფრთხეს უქმნის მოსწავლეთა უსაფრთხოებას და შეუძლებელს ხდის მოსწავლეებისთვის სრულფასოვანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

პროექტი წარმოდგენილი იყო 2020 წელს, 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინების მიზნით დასაფინანსებლად. სამუშაო ჯგუფში განხილვის შედეგად, სოციალური ასპექტების გათვალისწინებით, პროექტი გადავიდა შეფასების შემდგომ ეტაპზე, თუმცა დამატებით საჭირო იყო განხილვა.

2021 წელს დამატებით წარმოდგენილ იქნა დაზუსტებული ინფორმაცია და განახლებული გაანგარიშებები (მათ შორის, ბაზრის კვლევის შედეგად პროექტის ღირებულების მთლიანი მოცულობა შემცირებულია 2.0 მლნ ლარით, თუმცა მოსალოდნელია, რომ რეალურად პროექტის ღირებულება შემცირდეს ტენდერის გამოცხადების შემდეგ).

დამატებით განხილვის შემთხვევაში, პროექტის სოციალური ასპექტების გათვალისწინებით, საშუალოვადიან პერიოდში შესაძლებელია პროექტის გათვალისწინება საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს ასიგნებების ფარგლებში.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადსაგანმათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი - 32 07 01) პროგრამისთვის გათვალისწინებული ჯამური ასიგნებების ფარგლებში ხორციელდება საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოები. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია 66,5 მლნ ლარი, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია პროექტის დაფინანსება, დამატებით დეტალური განხილვის შემთხვევაში.

დანართი №2: გთხოვთ, იხილეთ კალკულაციების და კონცეფციის დოკუმენტები

4. ქალაქ თბილისის №11 საჯარო სკოლის მშენებლობა

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
პროექტის დასახელება	ქალაქ თბილისის №11 საჯარო სკოლის მშენებლობა
პროექტის წარმდგენი მხარჯავი დაწესებულება/უწყება	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
პროექტის მოკლე აღწერა	ქალაქ თბილისის N11 საჯარო სკოლა მდებარეობს ნაძალადევის რაიონში. 2019 წლის სექტემბრის თვეში, სკოლამ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დაუკვეთა სკოლის შენობის აღდგენა-გამაგრების სამუშაოების რენტაბელობის დადგენა. 2020 წლის 15 ივნისს ბიუროდან სკოლაში შემოსული N003011520 დასკვნის მიხედვით N11 საჯარო სკოლას დაუდგინდა III ხარისხის (ძლიერი) დაზიანება. მისი აღდგენა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს შეფასებით არარენტაბელურად ჩაითვალა. დღეის მდგომარეობით სკოლის კედლებში გაჩენილი ბზარების გახსნა გაზრდილია. აღნიშნულ სიტუაციაში, სკოლის მოსწავლეების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია სკოლა გადაყვანილ იქნას ალტერნატიულ ფართში. ქ. თბილისის N11 საჯარო სკოლაში სწავლობს 1400 - მდე მოსწავლე. ახლომდებარე საჯარო სკოლები, თავის მხრივ, გადატვირთულია. ამიტომ ალტერნატიული ფართების შერჩევა მოხერხდა თემქის დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლებიდან. შერჩეულია ორი ერთმანეთთან ახლომდებარე საჯარო სკოლა, სადაც მეორე ცვლაში წარიმართება სასწავლო პროცესი N11 საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის. სააგენტო უზრუნველყოფს სკოლის მოსწავლეების უფასო ტრანსპორტირებას სარეაბილიტაციო სკოლიდან ალტერნატიულ ფართებამდე.
საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება	პროექტის განხორციელების შედეგად, მოგვარდება ნაძალადევის რაიონში არსებული საჯარო სკოლების სიმცირის პრობლემა. აშენდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი 650-დან 700-მდე მოსწავლეზე გათვლილი საჯარო სკოლის შენობა, რომელშიც სასწავლო პროცესი ისევ ორ ცვლად წარიმართება, თუმცა, მოსწავლეებს ექნებათ გაცილებით უსაფრთხო, კომფორტული და პოზიტიური სასწავლო გარემო.
შეფასების პერიოდი	15 წელი

დაშვებები:

წარმოდგენილი პროექტის ფინანსური მახასიათებლები		
	არაფრის კეთება	ახალი სკოლის აშენება
მოთხოვნილი დაფინანსება[18]	-	10 500 000 ₾
საშუალო წლიური ხარჯები[19]	2 045 915 ₾	1 923 188,1 ₾
საშუალო წლიური შემოსავალი[20]	2 242 643,1 ₾	2 007 643,1 ₾
NPV[21]	2 991 389,53 ₾	-7 801 033,62 ₾
IRR[22]	-12%	-
B/C[23]	1,17	0,68

სამუშაო ჯგუფის მოსაზრება და რეკომენდაცია:

წარმოდგენილი პროექტი შეფასდა 15 წლის პერსპექტივაში (მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ვადების მიხედვით). პასუხისმგებელი უწყების მიერ წარმოდგენილი მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ პროექტი ფინანსურად არ არის მომგებიანი 15 წლიან პერსპექტივაში (დეტალური გამოთვლებისათვის იხილეთ დანართი).

თუმცა, პროექტი სოციალურად მნიშვნელოვანია, ქმნის საზოგადოებრივ სიკეთეს და პროექტის განხორციელებით გრძელვადიან პერსპექტივაში ხელი შეეწყობა ეკონომიკურ განვითარებას. განათლებისა და მეცნიერების სახელმწიფო პოლიტიკის მიზანია განათლების უწყვეტი და მდგრადი სისტემის შექმნა. ასევე, პროექტი შესაბამისობაშია გაეროს მდგრადი განვითარების ეროვნულ მიზნებთან (4.ა.1).

პროექტის წარმომდგენის მიერ არსებული დასკვნის საფუძველზე მიზანშეუწონელია სკოლის რეაბილიტაცია, ამიტომ პროექტში წარმოდგენილია ორი ალტერნატივა არაფრის კეთება, სადაც განხილულია არსებული სიტუაციის ანალიზი და ახალი სკოლის აშენება.

უნდა აღინიშნოს, რომ ავარიულ შენობაში სკოლის ფუნქციონირება საფრთხეს უქმნის მოსწავლეთა უსაფრთხოებას, შეუძლებელს ხდის მოსწავლეებისთვის სრულფასოვანი განათლების მიღების შესაძლებლობას. პროექტის განხორციელების შედეგად, რაიონს შეემატება ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულება.

---

[18] ახალი სკოლის აშენების შემთხვევაში პროექტის ჯამური ღირებულებაა 10 500 000 ლარი, სადაც კაპიტალური ხარჯი შეადგენს 10 000 000 ლარს, სკოლის აღჭურვის ხარჯია - 500 000 ლარი.

[19] ხარჯებში შედის: საექსპლუატაციო ხარჯები, აუცილებელი რემონტის ხარჯი, ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის ხელფასი; აკადემიური პერსონალის ხელფასი, სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირების ხარჯები

[20] შემოსავლებში შედის საჯარო სკოლის ვაუჩერული დაფინანსებიდან მიღებული შემოსავალი

[21] იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, NPV უნდა იყოს დადებითი

[22] იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს

[23] იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.

პროექტი, სოციალური ასპექტის გათვალისწინებით, აკმაყოფილებს შემდგომ ეტაპზე გადასვლის კრიტერიუმებს. ამასთან, პროექტი საჭიროებს დამატებით განხილვას, საშუალოვადიან პერიოდში შესაძლებელია რესურსის მოძიება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ასიგნებების ფარგლებში.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადსაგანმათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი - 32 07 01) პროგრამისთვის გათვალისწინებული ჯამური ასიგნებების ფარგლებში ხორციელდება საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოები. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია 66,5 მლნ ლარი, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია პროექტის დაფინანსება, დამატებით დეტალური განხილვის შემთხვევაში.

დანართი №2: გთხოვთ, იხილეთ კალკულაციების და კონცეფციის დოკუმენტები

5. ქალაქ თბილისის №83 საჯარო სკოლის მშენებლობა

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
პროექტის დასახელება	ქალაქ თბილისის №83 საჯარო სკოლის მშენებლობა
პროექტის წარმდგენი მხარჯავი დაწესებულება/უწყება	საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო
პროექტის მოკლე აღწერა	ქალაქ თბილისის №83 საჯარო სკოლა მდებარეობს ისანი-სამგორის რაიონში. სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო 2020 წელს ახორციელებდა ქალაქ თბილისის №83 საჯარო სკოლის შენობაში სარეაბილიტაციო სამუშაოებს, რაც ითვალისწინებდა შიდა კედლებიდან ბათქაშის ჩამოხსნას და ხელახალ გალესვას. კედლების გაშიშვლების შემდეგ ნათლად გამოჩნდა კედლის წყობაში, ზღუდარებში, სარტყლებში და გადახურვის კონსტრუქციებში არსებული ხარვეზები. შენობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენა დაევალა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს. სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიერ წარმოდგენილი დასკვნის მიხედვით, შენობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და ვერ უზრუნველყოფს უსაფრთხო ექსპლუატაციას. ექსპერტის აზრით შენობის აღდგენა არარენტაბელური იქნება.
საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება	შენობის გამოკვლევის მიზნით სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ შენობის ტერიტორიაზე ჩაატარა გრუნტის გეოლოგიური კვლევის სამუშაოები. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შენობას გამაგრებითი სამუშაოები მრავალჯერ აქვს ჩატარებული. გამაგრებითი სამუშაოების ჩატარების აუცილებლობა ძირითადად შენობის კონსტრუქციული სისუსტით იყო განპირობებული. ვინაიდან ქალაქ თბილისის №83 საჯარო სკოლის შენობის აღდგენის ღირებულებამ შეადგინა ანალოგიური ახალი შენობის აშენების ღირებულების 67.7% (რაც საგრძნობლად აჭარბებს რენტაბელობის 50%-იან ზღვარს), მისი აღდგენა მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული. პროექტის განხორციელების შედეგად, მოგვარდება ისანი-სამგორის რაიონში არსებული საჯარო სკოლების სიმცირის პრობლემა. აშენდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი 1000 მოსწავლეზე გათვლილი საჯარო სკოლის შენობა, რომელშიც სასწავლო პროცესის ორ ცვლად წარმართვის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება 2000-მდე მოსწავლის მიღება. მოსწავლეებს ექნებათ გაცილებით უსაფრთხო, კომფორტული და პოზიტიური სასწავლო გარემო. თუ სკოლის კუთვნილი

	მიწის ნაკვეთის ფართობი საკმარისი იქნება, შესაძლებელია სააგენტოს მიერ განისაზღვროს შენობის სიმძლავრე, რომელიც გათვლილი იქნება ერთ ცვლაში 1000-ზე მეტ მოსწავლეზე.
შეფასების პერიოდი	15 წელი

<u>დაშვებები:</u>

წარმოდგენილი პროექტის ფინანსური მახასიათებლები		
	არაფრის კეთება	სკოლის მშენებლობა
მოთხოვნილი დაფინანსება[24]	6 770 000 ₾	10 500 000 ₾
საშუალო წლიური ხარჯები[25]	2 231 011,8 ₾	1 835 693,9 ₾
საშუალო წლიური შემოსავალი[26]	1 944 419,3 ₾	2 248 987,4 ₾
NPV[27]	-4 208 184,04 ₾	-5 074 209,52 ₾
IRR[28]	-	-7 %
B/C[29]	0,81	0,79

სამუშაო ჯგუფის მოსაზრება და რეკომენდაცია:

წარმოდგენილი პროექტი შეფასდა 15 წლის პერსპექტივაში (მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ვადების მიხედვით). პასუხისმგებელი უწყების მიერ წარმოდგენილი მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ პროექტი ფინანსურად არ არის მომგებიანი 15 წლიან პერსპექტივაში (დეტალური გამოთვლებისათვის იხილეთ დანართი).

თუმცა, პროექტი სოციალურად მნიშვნელოვანია, ქმნის საზოგადოებრივ სიკეთეს და პროექტის განხორციელებით გრძელვადიან პერსპექტივაში ხელი შეეწყობა ეკონომიკურ განვითარებას. განათლებისა და მეცნიერების სახელმწიფო პოლიტიკის მიზანია განათლების უწყვეტი და მდგრადი სისტემის შექმნა. ასევე, პროექტი შესაბამისობაშია გაეროს მდგრადი განვითარების ეროვნულ მიზნებთან (4.ა.1).

[24] სასწავლო კორპუსის მშენებლობის შემთხვევაში პროექტის ჯამური ღირებულებაა 10 500 000 ლარი, სადაც კაპიტალური ხარჯი შეადგენს 10 000 000 ლარს, ხოლო სკოლის აღჭურვის ხარჯია - 500 000 ლარი

[25] ხარჯებში შედის: საექსპლუატაციო ხარჯები, აუცილებელი რემონტის ხარჯი, ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის ხელფასი; აკადემიური პერსონალის ხელფასი

[26] შემოსავლებში შედის საჯარო სკოლის ვაუჩერული დაფინანსებიდან მიღებული შემოსავალი

[27] იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, NPV უნდა იყოს დადებითი

[28] იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს

[29] იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.

პროექტში წარმოდგენილია ორი ალტერნატივა არაფრის კეთება, სადაც განხილულია არსებული სიტუაციის ანალიზი და ახალი სკოლის მშენებლობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ავარიულ შენობაში სკოლის ფუნქციონირება საფრთხეს უქმნის მოსწავლეთა უსაფრთხოებას, შეუძლებელს ხდის მოსწავლეებისთვის სრულფასოვანი განათლების მიღების შესაძლებლობას. ამასთან, ვინაიდან ქალაქ თბილისის №83 საჯარო სკოლის შენობის აღდგენის ღირებულებამ შეადგინა ანალოგიური ახალი შენობის აშენების ღირებულების 67.7% (რაც საგრძნობლად აჭარბებს რენტაბელობის 50%-იან ზღვარს), მისი აღდგენა მიზანშეუწონლია.

პროექტი, სოციალური ასპექტის გათვალისწინებით, აკმაყოფილებს შემდგომ ეტაპზე გადასვლის კრიტერიუმებს. ამასთან, პროექტი საჭიროებს დამატებით განხილვას, საშუალოვადიან პერიოდში შესაძლებელია რესურსის მოძიება საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს ასიგნებების ფარგლებში.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადსაგანმათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი - 32 07 01) პროგრამისთვის გათვალისწინებული ჯამური ასიგნებების ფარგლებში ხორციელდება საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოები. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია 66,5 მლნ ლარი, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია პროექტის დაფინანსება, დამატებით დეტალური განხილვის შემთხვევაში.

დანართი №2: გთხოვთ, იხილეთ კალკულაციების და კონცეფციის დოკუმენტები

6. ქალაქ თბილისის №97 საჯარო სკოლის მშენებლობა

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
პროექტის დასახელება	ქალაქ თბილისის №97 საჯარო სკოლის მშენებლობა
პროექტის წარმდგენი მხარჯავი დაწესებულება/უწყება	საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო
პროექტის მოკლე აღწერა	დღეისათვის ქალაქ თბილისის N97 საჯარო სკოლაში, რომელიც მდებარეობს ისანი-სამგორის რაიონში, განათლებას იღებს 500-მდე მოსწავლე. ქ.თბილისის N97 საჯარო სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს N002478214 საექსპერტო დასკვნის მიხედვით, ჩათვლილია არადამაკმაყოფილებლად. რეკომენდებულია ახალი სკოლის შენობის აშენება
საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება	განათლებისა და მეცნიერების სახელმწიფო პოლიტიკის მიზანია განათლების უწყვეტი და მდგრადი სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ნებისმიერი ასაკის ადამიანის ჰოლისტურ განვითარებას, მისთვის როგორც სრულფასოვანი ცოდნის მიწოდებას, ასევე ამ ცოდნის შემოქმედებითი დამუშავების და პრაქტიკული გამოყენების უნარებით აღჭურვასაც, რაც საზოგადოებრივი სიკეთეების შექმნას და ეკონომიკურ განვითარებას შეუწყობს ხელს. კერძო სექტორი არ არის მზად მოახდინოს ინვესტიცია დიდ ინფრასტრუქტურულ პროექტებში. შესაბამისად, მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საჭიროა სახელმწიფოს ინტერვენცია.
შეფასების პერიოდი	15 წელი

<u>დაშვებები:</u>

წარმოდგენილი პროექტის ფინანსური მახასიათებლები		
	არაფრის კეთება	სკოლის მშენებლობა
მოთხოვნილი დაფინანსება[30]	-	10 500 000 ₾

[30] სასწავლო კორპუსის მშენებლობის შემთხვევაში პროექტის ჯამური ღირებულებაა 10 500 000 ლარი, სადაც კაპიტალური ხარჯი შეადგენს 10 000 000 ლარს, ხოლო სკოლის აღჭურვის ხარჯია - 500 000 ლარი

საშუალო წლიური ხარჯები[31]	930 404.4 ₾	1 762 232.9 ₾
საშუალო წლიური შემოსავალი[32]	894 671.4 ₾	1 601 842.9 ₾
NPV[33]	212 251.04 ₾	-9 984 136.47 ₾
IRR[34]	5%	-
B/C[35]	1.03	0.57

სამუშაო ჯგუფის მოსაზრება და რეკომენდაცია:

წარმოდგენილი პროექტი შეფასდა 15 წლის პერსპექტივაში (მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ვადების მიხედვით). პასუხისმგებელი უწყების მიერ წარმოდგენილი მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ პროექტი ფინანსურად არ არის მომგებიანი 15 წლიან პერსპექტივაში (დეტალური გამოთვლებისათვის იხილეთ დანართი).

თუმცა, პროექტი სოციალურად მნიშვნელოვანია, ქმნის საზოგადოებრივ სიკეთეს და პროექტის განხორციელებით გრძელვადიან პერსპექტივაში ხელი შეეწყობა ეკონომიკურ განვითარებას. განათლებისა და მეცნიერების სახელმწიფო პოლიტიკის მიზანია განათლების უწყვეტი და მდგრადი სისტემის შექმნა. ასევე, პროექტი შესაბამისობაშია გაეროს მდგრადი განვითარების ეროვნულ მიზნებთან (4.ა.1).

პროექტში წარმოდგენილია ორი ალტერნატივა არაფრის კეთება, სადაც განხილულია არსებული სიტუაციის ანალიზი და ახალი სკოლის მშენებლობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ავარიულ შენობაში სკოლის ფუნქციონირება საფრთხეს უქმნის მოსწავლეთა უსაფრთხოებას, შეუძლებელს ხდის მოსწავლეებისთვის სრულფასოვანი განათლების მიღების შესაძლებლობას. ამასთან, აღდგენა არარენტაბელურია, მისი აღდგენა მიზანშეუწონლია.

პროექტი, სოციალური ასპექტის გათვალისწინებით, აკმაყოფილებს შემდგომ ეტაპზე გადასვლის კრიტერიუმებს. ამასთან, პროექტი საჭიროებს დამატებით განხილვას, საშუალოვადიან პერიოდში შესაძლებელია რესურსის მოძიება საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს ასიგნებების ფარგლებში.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადსაგანმათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი - 32 07 01) პროგრამისთვის გათვალისწინებული ჯამური ასიგნებების ფარგლებში ხორციელდება საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოები. აღნიშნული პროგრამის

[31] ხარჯებში შედის: საექსპლუატაციო ხარჯები, აუცილებელი რემონტის ხარჯი, ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის ხელფასი; აკადემიური პერსონალის ხელფასი

[32] შემოსავლებში შედის საჯარო სკოლის ვაუჩერული დაფინანსებიდან მიღებული შემოსავალი

[33] იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, NPV უნდა იყოს დადებითი

[34] იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს

[35] იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.

ფარგლებში კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია 66,5 მლნ ლარი, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია პროექტის დაფინანსება, დამატებით დეტალური განხილვის შემთხვევაში.

დანართი №2: გთხოვთ, იხილეთ კალკულაციების და კონცეფციის დოკუმენტები

7. სსიპ თბილისის ხელოვნების კოლეჯის მშენებლობა

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
პროექტის დასახელება	სსიპ თბილისის ხელოვნების კოლეჯის მშენებლობა
პროექტის წარმდგენი მხარჯავი დაწესებულება/უწყება	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
პროექტის მოკლე აღწერა	თბილისში, წერეთლის გამზირი 134-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (სკ 01.13.04.017.019) იგეგმება ხელოვნების კოლეჯის ახალი შენობის პროექტირება და მშენებლობა. პროექტის მიხედვით შენობა ხუთსართულიანია. ყოველწლიურად კოლეჯში პროფესიულ განათლებას საკვალიფიკაციო და მოკლევადიან პროგრამებზე მიიღებს 300-მდე სტუდენტი. ინფრასტრუქტურული პროექტის დასრულების შემდგომ, სამიზნე ჯგუფი იქნება 14 წლიდან ზევით ასაკის ყველა ბენეფიციარი.
საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება	სსიპ თბილისის ხელოვნების კოლეჯი ამ ეტაპზე განთავსებულია დროებით ფართში. შენობაში არსებული ფართის სიმცირის გამო კოლეჯი ვერ ახდენს მოთხოვნადი პროფესიული პროგრამების განხორციელებას არასაკმარისი თეორიული აუდიტორიებისა და თანამედროვე სასწავლო სახელოსნოების ნაკლებობის გამო. 1. კოლეჯის კურსდამთავრებულთა სრული უმეტესობა შეძლებს დასაქმებას ან თვითდასაქმებას; 2. კოლეჯის კურსდამთავრებულები შეძლებენ ისეთი ნაკეთობების დამზადებას, რომლებიც მნიშვნელოვან წილს დაიკავებენ არსებულ სასუვენირო ბაზარზე; 3. კოლეჯის კურსდამთავრებულები შეძლებენ ისეთი ნაკეთობების დამზადებას (არასასუვენირო განხრით), რომლითაც მნიშვნელოვნად შეიძლება ჩაანაცვლდეს იმპორტირებული ნაწარმი (მაგალითად კერამიკა და ხის ნაკეთობები); 4. კოლეჯში განხორციელდება სხვადასხვა საკვალიფიკაციო პროგრამები და იფუნქციონირებს თანამედროვე სახელოსნოები. ამასთანავე შესაძლებელი იქნება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი მოკლე ვადიანი პროგრამების განხორციელება, რაც სწრაფ დასაქმებას და კერძო სექტორის გაძლიერებას შეუწყობს ხელს. მიუხედავად შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნისა, კოლეჯი ვერ უზრუნველყოფს შესაბამისი დარგის სპეციალისტების მომზადებას და დეფიციტური პროფესიების აღმოფხვრას.
შეფასების პერიოდი	15 წელი

<u>დაშვებები:</u>

წარმოდგენილი პროექტის ფინანსური მახასიათებლები		
	არაფრის კეთება	ხელოვნების კოლეჯის მშენებლობა
მოთხოვნილი დაფინანსება[36]	-	12 105 000 ₾
საშუალო წლიური ხარჯები[37]	166 734,1 ₾	1 387 701,8 ₾
საშუალო წლიური შემოსავალი[38]	112 859,8 ₾	1 395 840 ₾
NPV[39]	-360 177,66 ₾	-10 622 029,26 ₾
IRR[40]	-	-
B/C[41]	0,74	0,51

სამუშაო ჯგუფის მოსაზრება და რეკომენდაცია:

წარმოდგენილი პროექტი შეფასდა 15 წლის პერსპექტივაში (მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ვადების მიხედვით). პასუხისმგებელი უწყების მიერ წარმოდგენილი მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ პროექტი ფინანსურად არ არის მომგებიანი 15 წლიან პერსპექტივაში (დეტალური გამოთვლებისათვის იხილეთ დანართი).

პროექტის წარმომდგენის მიერ არსებული დასკვნის საფუძველზე მიზანშეუწონელია ლოკაციის შერჩევის ალტერნატივის განხილვა, ამიტომ პროექტის შემდგომ ეტაპზე წარმოდგენილია ორი ალტერნატივა არაფრის კეთება, სადაც განხილულია არსებული სიტუაციის ანალიზი და ახალი ხელოვნების კოლეჯის მშენებლობა.

უნდა აღინიშნოს, რომ შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნისა, კოლეჯი ვერ უზრუნველყოფს შესაბამისი დარგის სპეციალისტების მომზადებას და დეფიციტური პროფესიების აღმოფხვრას. არსებული ვითარებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია 300 სტუდენტზე გათვლილი ხელოვნების კოლეჯის მშენებლობა, რითაც ხელი შეეწყობა საქართველოში ისტორიულად ტრადიციული სახელოვნებო დარგების აღორძინებას და კურდამთავრებულების დასაქმებას.

პროექტი წარმოდგენილი იყო 2020 წელს, 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინების მიზნით დასაფინანსებლად. სამუშაო ჯგუფში განხილვის შედეგად, ინიციატორის მიერ

[36] ხელოვნების კოლეჯის მშენებლობის შემთხვევაში პროექტის ჯამური ღირებულებაა 12 105 000 ლარი, სადაც კაპიტალური ხარჯი შეადგენს 12 000 000 ლარს, ხოლო აღჭურვის ხარჯია - 105 000 ლარი,

[37] ხარჯებში შედის: საექსპლუატაციო ხარჯები, აუცილებელი რემონტის ხარჯი, ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის ხელფასი; აკადემიური პერსონალის ხელფასი,

[38] შემოსავლებში შედის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული შემოსავალი

[39] იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, NPV უნდა იყოს დადებითი

[40] იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს

[41] იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.

წარმოდგენილი გათვლების გათვალისწინებით პროექტი ვერ გადავიდა შეფასების შემდგომ ეტაპზე, თუმცა დამატებით საჭირო იყო პროექტის უფრო დეტალური განხილვა.

2021 წელს დამატებით წარმოდგენილ იქნა დაზუსტებული ინფორმაცია და განახლებული გაანგარიშებები (მათ შორის პროექტის ღირებულება 5 მლნ ლარითაა გაზრდილი ერთი წლის განმავლობაში). პროექტი საჭიროებს დამატებით განხილვას.

საშუალოვადიან პერიოდში შესაძლებელია პროექტის გათვალისწინება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ასიგნებების ფარგლებში.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადსაგანმათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი - 32 07 02) პროგრამისთვის გათვალისწინებული ჯამური ასიგნებების ფარგლებში ხორციელდება საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოები. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია 24,8 მლნ ლარი, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია პროექტის დაფინანსება, დამატებით დეტალური განხილვის შემთხვევაში.

დანართი №2: გთხოვთ, იხილეთ კალკულაციების და კონცეფციის დოკუმენტები

8. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელე ხელოვნების კოლეჯის მშენებლობა

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
პროექტის დასახელება	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელე ხელოვნების კოლეჯის მშენებლობა
პროექტის წარმდგენი მხარჯავი დაწესებულება/უწყება	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
პროექტის მოკლე აღწერა	მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის პარტნიორი ევროპული სკოლები დაგეგმარებულია დარგის იდენტური სივრცეებითა და აღჭურვილია საწარმოო დონის ტექნიკით. საქართველოს მედია ბაზარზე მოქმედ მედიასაშუალებებში კვალიფიციურ დასაქმებულთა თითქმის 7-12% კოლეჯის კურსდამთავრებულია (დასაქმების საშუალო მაჩვენებელი 82%). ამდენად, კოლეჯის განვითარების მიზნით, რაც ხელს უწყობს ქვეყანაში არა მხოლოდ მედიის განვითარებას, მნიშვნელოვანია მისთვის სპეციალურად დაგეგმარებული თანამედროვე ინფრასტრუქტურით აღჭურვილი შენობის აშენება, რაც თავის მხრივ კოლეჯზე საერთაშორისო მოთხოვნასაც გააჩენს. პროექტის რეალიზაცია მთლიანად მოხსნის არსებულ პრობლემებს; სტიმულს მისცემს კოლეჯის როგორც სასწავლო და შემოქმედებითი დაწესებულების განვითარებას, მის ინტერნაციონალიზაციას, საერთაშორისო სასწავლო და შემოქმედებით პროექტებში ჩართულობის ინტენსივობას, მოკლევადიანი საერთაშორისო პროგრამების განვითარებას, სტუდენტური ტელე-რადიო მაუწყებლობის ამოქმედებას, მძლავრი სტუდენტური მედია ცენტრის ფორმირებას.
საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება	2020 წელს კი 1:5,7. განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის დადასტურების მიუხედავად კოლეჯი ვერ ახორციელებს 6 მოკლევადიან მომზადება/გადამზადების პროგრამას. ფართის სიმცირის გამო შეჩერებულია მედია ბაზარზე მოთხოვნადი კვალიფიკაციებისთვის (განათების ტექნიკოსი, ხმის ოპერატორი, საინფორმაციო პროგრამების პროდიუსერი, სატელევიზიო სივრცის დიზაინერი, ანიმატორი) სტანდარტული და ინტეგრირებული პროგრამების რეალიზაცია. კოლეჯი ვეღარ მონაწილეობს სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის განკუთვნილი დაწყებითი უნარების განვითარების პროექტშიც. ჯამში, ყოველწლიურად კოლეჯს აკლდება 150-180 სტუდენტი, რომლებზეც მოთხოვნა დარგიდან მუდმივად იზრდება. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ კოლეჯი

	წარმოადგენს ქვეყანაში ამ მიმართულების ერთადერთ სასწავლო დაწესებულებას. მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან კოლეჯის აფილირება ზრდის მასზე საზოგადოების დაკვეთას. ორ ცვლაში სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის მიზნით პერიოდულად ხდება A, B და C სასწავლო გარემოს ცვლილება საერთო ფართის იმ ნაწილში, რომელიც განკუთვნილია სწავლისთვის და შეადგენს 302,4კვ.მ-ს. დერეფანს უკავია 120კვ.მ-ზე მეტი ფართი. 110 კვ.მეტრამდე ფართს იკავებს ტექნიკური, დამხმარე, სანიტარულ ჰიგიენური სათავსოები და ადმინისტრაცია. გასული საუკუნის 40-ან წლებში აგებული ამ შენობის მდგომარეობიდან გამომდინარე, შეუძლებელია მისი თუნდაც ერთი ნაწილის გადაკეთება (ფართის მომატება, ჭერის ამაღლება სატელევიზიო, ფოტო, აუდიო და საინკრუსტაციო სტუდიებისთვის ან სართულის დაშენება) და სახანძრო უსაფრთხოების ნორმების სრული დაკმაყოფილება. მხოლოდ ბოლო მიზეზის გამო, ავტორიზაციის ახალი სტანდარტის მიხედვით, 31 წლის ისტორიის მქონე კოლეჯი 2024 წელს სავარაუდოდ ავტორიზაციას ვეღარ გაივლის.
შეფასების პერიოდი	15 წელი

<u>დაშვებები:</u>

წარმოდგენილი პროექტის ფინანსური მახასიათებლები		
	არაფრის კეთება	ტელე-ხელოვნების კოლეჯის მშენებლობა
მოთხოვნილი დაფინანსება[42]	-	14 100 000 ₾
საშუალო წლიური ხარჯები[43]	1 702 352,3 ₾	1 944 913,1 ₾
საშუალო წლიური შემოსავალი[44]	808 713,4 ₾	1 512 973,4 ₾
NPV[45]	-7 153 125,73 ₾	-15 838 782,42 ₾

[42] ტელე-ხელოვნების კოლეჯის მშენებლობის შემთხვევაში პროექტის ჯამური ღირებულებაა 14 100 000 ლარი, სადაც კაპიტალური ხარჯი შეადგენს 14 000 000 ლარს, ხოლო აღჭურვის ხარჯია - 100 000 ლარი,

[43] ხარჯებში შედის: საექსპლუატაციო ხარჯები, აუცილებელი რემონტის ხარჯი, ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის ხელფასი; აკადემიური პერსონალის ხელფასი,

[44] შემოსავლებში შედის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული შემოსავალი

[45] იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, NPV უნდა იყოს დადებითი

IRR[46]	-	-
B/C[47]	0,51	0,44

სამუშაო ჯგუფის მოსაზრება და რეკომენდაცია:

წარმოდგენილი პროექტი შეფასდა 15 წლის პერსპექტივაში (მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ვადების მიხედვით). პასუხისმგებელი უწყების მიერ წარმოდგენილი მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ პროექტი ფინანსურად არ არის მომგებიანი 15 წლიან პერსპექტივაში (დეტალური გამოთვლებისათვის იხილეთ დანართი).

თუმცა, პროექტი სოციალურად მნიშვნელოვანია, ქმნის საზოგადოებრივ სიკეთეს და პროექტის განხორციელებით გრძელვადიან პერსპექტივაში ხელი შეეწყობა ეკონომიკურ განვითარებას. განათლებისა და მეცნიერების სახელმწიფო პოლიტიკის მიზანია განათლების უწყვეტი და მდგრადი სისტემის შექმნა.

პროექტის წარმომდგენის მიერ არსებული დასკვნის საფუძველზე მიზანშეუწონელია ლოკაციის შერჩევის ალტერნატივის განხილვა, ამიტომ პროექტის შემდგომ ეტაპზე წარმოდგენილია ორი ალტერნატივა: არაფრის კეთება, სადაც განხილულია არსებული სიტუაციის ანალიზი და ახალი ტელე-ხელოვნების კოლეჯის მშენებლობა.

პროექტი წარმოდგენილი იყო 2020 წელსაც, 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინების მიზნით დასაფინანსებლად და სამუშაო ჯგუფმა განიხილა პროექტის ალტერნატიული წყაროს მოძიება და კერძო სექტორის დაინტერესების და მათი ჩაართულობის საკითხი. 2021 წელს ბაზრის კვლევის შედეგად დამატებით წარმოდგენილ იქნა დაზუსტებული ინფორმაცია და განახლებული გაანგარიშებები და პროექტის ღირებულება გაზრდილია ორჯერ უფრო მეტად (6,1 მლნ ლარიდან 14.1 მლნ ლარამდე 1 წლის განმავლობაში). ამასთან, პროექტის ინიციატორის განმარტებით, ალტერნატიური დაფინანსების წყაროს მოძიება შეუძლებელია და პროექტი უნდა დაფინანსდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადსაგანმათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი - 32 07 02) პროგრამისთვის გათვალისწინებული ჯამური ასიგნებების ფარგლებში ხორციელდება საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოები. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია 24,8 მლნ ლარი, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია პროექტის დაფინანსება, დამატებით დეტალური განხილვის შემთხვევაში.

დანართი №2: გთხოვთ, იხილეთ კალკულაციების და კონცეფციის დოკუმენტები

[46] იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს
[47] იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.

9. სსიპ კოლეჯის „ერქვანი“ ტერიტორიაზე ახალი სასწავლო კორპუსის და საერთო საცხოვრებლის მშენებლობა

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
პროექტის დასახელება	სსიპ კოლეჯის ,,ერქვანი'' ტერიტორიაზე ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობა
პროექტის წარმდგენი მხარჯავი დაწესებულება/უწყება	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
პროექტის მოკლე აღწერა	რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონში, სსიპ კოლეჯი ,,ერქვანი“ წარმოადგენს ერთადერთ საჯარო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას. სსიპ კოლეჯი „ერქვანი“ ამჟამად განთავსებულია მინა-ბეტონის შენობაში, რომელიც ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. შენობაში განთავსებულია მხოლოდ 7 თეორიული სწავლების აუდიტორია, რომლებსაც არ გააჩნიათ დამხმარე სათავსო და შიდა სივრცე სასწავლო მასალების და აღჭურვილობის განთავსებისთვის. ასევე, შენობაში არსებული ფართის სიმცირის გამო ვერ ვითარდება თანამედროვე სასწავლო სახელოსნოები, რაც ხელის შემშლელი გარემოებაა პრაქტიკული სწავლების კუთხით. აღნიშნულის გამო, მიუხედავად რეგიონის შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნებისა სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, სამშენებლო და მომსახურეობის სფეროებში, კოლეჯი ვერ ახერხებს მოთხოვნადი პროგრამების დამატებას და განხორციელებას.
საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება	აღნიშნული პროექტის ფარგლებში, მოეწყობა ახალი სასწავლო კორპუსი და თანამედროვე სახელოსნოები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან და უსაფრთხოების ნორმებთან. შენობის ფართობი უზრუნველყოფს ერთდროულად 200 პროფესიული სტუდენტის სწავლის საშუალებას. აღნიშნულის საფუძველზე კოლეჯს საშუალება მიეცემა გააფართოვოს გეორგრაფიული არეალის წვდომა რეგიონის ოთხივე რაიონში (ამბროლაური, ონი, ცაგერი, ლენტეხი). სსიპ კოლეჯის ,,ერქვანი“ ძირითად სამოქმედო არეალს წარმოადგენს რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონი და ასევე უახლოესი მეზობელი რაიონები (ტყიბული, თერჯოლა), სადაც არ ოპერირებს არცერთი კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება. იმისათვის რომ ზემოხსენებულ რეგიონში

	უზრუნველყოფილ იქნას ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებების სპეციალისტების მომზადება როგორიცაა სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, მომსახურება, ინჟინერია და ა.შ. გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს სახელმწიფო ინტერვენცია აღნიშნულ საკითხში.
შეფასების პერიოდი	15 წელი

<u>დაშვებები:</u>

წარმოდგენილი პროექტის ფინანსური მახასიათებლები		
	არაფრის კეთება	ახლის აშენება
მოთხოვნილი დაფინანსება	-	9,150,000 ₾
კაპიტალური ხარჯი	-	9,000,000 ₾
საშუალო წლიური ხარჯები[48]	616 393,2 ₾	526 864,8 ₾
საშუალო წლიური შემოსავალი[49]	**830 255,1 ₾**	**699 755,1 ₾**
NPV	2 276 977,42 ₾	-6 498 631,42 ₾
IRR[50]	-	-16%
B/C[51]	1,43	0,47

სამუშაო ჯგუფის მოსაზრება და რეკომენდაცია:

წარმოდგენილი პროექტი შეფასდა 15 წლის პერსპექტივაში (მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ვადების მიხედვით). პასუხისმგებელი უწყების მიერ წარმოდგენილი მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ პროექტი ფინანსურად არ არის მომგებიანი (დეტალური გამოთვლებისათვის იხილეთ დანართი). თუმცა, პროექტი მნიშვნელოვანია, კოლეჯს საშუალება

[48] ხარჯებში შედის: საექსპლუატაციო ხარჯები, აუცილებელი რემონტის ხარჯი, ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი; ტექნიკური პერსონალის ხელფასი იჯარის ხარჯი

[50] იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს
[51] იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.

მიეცემა გააფართოვოს გეორგრაფიული არეალის წვდომა რეგიონის ოთხივე რაიონში (ამბროლაური, ონი, ცაგერი, ლენტეხი).

სსიპ კოლეჯის ,,ერქვანი“ ძირითად სამოქმედო არეალს წარმოადგენს რეგიონის ოთხივე რაიონი (ამბროლაური, ონი, ცაგერი, ლენტეხი) და ასევე უახლოესი მეზობელი რაიონები (ტყიბული, თერჯოლა), სადაც არ ოპერირებს არცერთი კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება. იმისათვის, რომ ზემოხსენებულ რეგიონში უზრუნველყოფილ იქნას ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებების სპეციალისტების მომზადება, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, მომსახურება, ინჟინერია და ა.შ.

დამატებით განხილვის შემდეგ, საშუალოვადიან პერიოდში შესაძლებელია პროექტის გათვალისწინება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ასიგნებების ფარგლებში.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადსაგანმათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი - 32 07 02) პროგრამისთვის გათვალისწინებული ჯამური ასიგნებების ფარგლებში ხორციელდება საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოები. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია 24,8 მლნ ლარი, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია პროექტის დაფინანსება, დამატებით დეტალური განხილვის შემთხვევაში.

დანართი №2: გთხოვთ, იხილეთ კალკულაციების და კონცეფციის დოკუმენტები

10. საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა (ADB)

საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა გათვალისწინებულია „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველლოს კანონის პროექტში, ასევე დაკლასიფიცირებულია როგორც კაპიტალური პროექტი და წარმოდგენილია კაპიტალური პროექტების დანართში პროექტი (პროგრამული კოდები: 25 03 07 და 55 13 05).

სამუშაო ჯგუფის ინფორმაცია

აზიის განვითარების ბანკთან 2019 წელს ხელი მოეწერა (ეფექტურია 2020 წლის 19 მაისიდან) კომპლექსური მიდგომის ტიპის საინვესტიციო პროექტს, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა სამინისტროსა და თბილისის განვითარების ფონდის მიერ ქალაქების კომპლექსიური განვითარების მიზნით განსახორციელებელ პროექტებისადმი სისტემურ მიდგომას. აღნიშნული კომპლექსური მიდგომის გათვალისწინებით, მიმდინარე პროექტი (პროექტის მთლიანი ღირებულება 15 მლნ აშშ დოლარი) ითვალისწინებს მოსამზადებელ ეკონომიკურ (Feasability) კვლევებს, რომელთა საფუძველზეც იგეგმება აზიის განვითარების ბანკთან **„საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროექტის თანაბარი განვითარებისთვის“** ხელმოწერა, რომელიც თავის მხრივ მოემსახურება დედაქალაქსა და რამდენიმე ქალაქში კომპლექსური ინფრასტრუქტურული განახლების პროექტებს, თითოეული მათგანისათვის შემუშავებული ეკონომიკური ანალიზისა და დასაბუთების გათვალისწინებით.

პროექტის მთლიანი ღირებულება 120 მლნ აშშ დოლარამდეა და საინვესტიციო ქვეპროექტების შერჩევა განხორციელდება ორი მიმართულებით:

- ✓ **ინკლუზიური და კლიმატური ცვლილებებისადმი მდგრადი ურბანული ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია;**
- ✓ **ტურისტული კლასტერებში ხელმისაწვდომობის და მობილობის გაუმჯობესება.**

კონკრეტული ქვეპროექტების შერჩევა განხორციელდება პროექტის მმართველი კომიტეტის მიერ, რომელსაც უხელმძღვანელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

გასათვალისწინებლია, რომ „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით გათვალისწინებული რესურსი გამიზნულია არა თავად საინვესტიციო პროექტების განხორციელების, არამედ მათი მოსამზადებელი სამუშაოებისა და კვლევებისათვის, თუმცა აღნიშნული პროექტი ასახულია კაპიტალური პროექტების დანართში, ვინაიდან აღნიშნული ტიპის ხარჯებიც საინვესტიციო პროექტების მთლიანი ღირებულების განუყოფელი ნაწილია. მოსამზადებელი სამუშაოებისა და ეკონომიკური კვლევებისათვის რესურსების მობილიზება ასევე შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის მიერ 2016 წლის 22 აპრილის №191 დადგენილებით დამტკიცებული საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევთან.

11. თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის საგარეჯო-ბადიაურის მონაკვეთის მშენებლობა (WB)

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
პროექტის დასახელება	თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის საგარეჯო-ბადიაურის მონაკვეთის მშენებლობა (WB)
პროექტის წარმდგენი მხარჯავი დაწესებულება/უწყება	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (საავტომობილო გზების დეპარტამენტი)
პროექტის მოკლე აღწერა	პროექტში განხილული მონაკვეთი წარმოადგენს თბილისიდან საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი რეგიონის, კახეთის მიმართულებით დამაკავშრებელ ძირითად მაგისტრალს და ასევე აზერბაიჯანის ჩრდილო–დასავლეთ რეგიონთან დამაკავშირებელ სატრანზიტო კორიდორს. გზის მშენებლობის ტექნიკური პარამეტრები: - საპროექტო მონაკვეთის სიგრძე შეადგენს 17 კმ- ს - მიწის ვაკისის სიგანე - 28 მ - სამოძრაო ზოლების რაოდენობა - 4 - სავალი ზოლის სიგანე - 2x3.75 მ თითოეულ მიმართულებაზე - გადასასვლელი ხიდი - ორი, მთლიანი სიგრძით 180 მეტრი - სამანქანო ხიდი - ორი, მთლიანი სიგრძით 125 მეტრი; - ირიგაციის და დრენაჟის სისტემები - საანგარიშო სიჩქარე - 120 კმ/სთ
საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება	საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული წარმატებული საგარეო და საშინაო პოლიტიკის შედეგად, მნიშვნელოვნად არის გაზრდილი აღნიშნული მიმართულებით სატრანსპორტო ნაკადების ინტენსივობა. 2021 წელს დაიწყო თბილისი-საგარეჯოს მონაკვეთის სამუშაოები და აღნიშნული მონაკვეთი ამ გზის გაგრძელებაა საგარეჯოდან ბადიაურამდე. ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ფარგლებში, ალტერნატიული მიმართულებების და მრავალფუნქციური შედარებების საფუძველზე დადგინდა, რომ ავტოტრანსპორტის პროგნოზირებული ინტენსივობა საშუალო ზრდის ტემპით შემდეგი 20 წლის განმავლობაში გაიზრდება და ახალი 4 ზოლიანი ავტომაგისტრალის მშენებლობა ზემოხსენებული გარემოებებიდან გამომდინარე კრიტიკულად აუცილებელია თბილისი-საგარეჯოს მონაკვეთისათვის, რომლის მარშრუტიც სრულიად აუვლის გვერდს დასახლებულ პუნქტებს, რაც

	გაზრდის დერეფნის გამტარუნარიანობას, შემცირდება გადადგილების დრო და ხარჯები, გაიზრდება გადაადგილების სიჩქარეები, საგრძნობლად გაუმჯობესდება საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება და განიმუხტება დასახლებული პუნქტები.
შეფასების პერიოდი	23 წელი

სამუშაო ჯგუფის მოსაზრება და რეკომენდაცია:

2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის პაკეტში წარმოდგენილი იქნა და 2021 წელს დაიწყო სამუშაოები საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის თბილისი-სართიჭალის (ლოტი 1) და სართიჭალა-საგარეჯოს (ლოტი 2) მონაკვეთების მშენებლობაზე[52]. 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, კაპიტალური პროექტების ნაწილში ასახულია დაფინანსება აღნიშნული გზის შემდეგი მონაკვეთის (საგარეჯო-ბადიაური) მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოებისათვის (მიწების გამოსყიდვა) და იწყება მუშაობა მსოფლიო ბანკთან აღნიშნული პროექტის მოსამზადებლად, შესაბამისი ეკონომიკური ანალიზისა და მშენებლობების ხარჯების დასაფინანსებლად სასესხო ხელშეკრულების მოსამზადებლად. აღნიშნული მონაკვეთიც წარმოადგენს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გზების დეპარტამენტის განხორციელებით არსებული პროგრამის „ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობის“ ნაწილს.

პროექტის ეკონომიკური ანალიზის და სხვა მოსამზადებელი სამუშაოები განხორციელდება 2022 წელს. პროექტის საორიენტაციო ღირებულება ამ ეტაპისათვის განსაზღვრულია 100 მლნ აშშ დოლარის ოდენობით, ხოლო განხორციელების ვადა 30 თვეა.

წარმოდგენილი პროექტის შეფასება ასევე უნდა განხორციელდეს 23 წლიან პერსპექტივაში (გზამკვლევით გათვალისწინებული ვადების მიხედვით).

ვინაიდან მონაკვეთი მიმდინარე ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობის ნაწილია, მოსალოდნელია, რომ პროექტის განხორციელების საჭიროება დადასტურდება დაგეგმილი კვლევებით. კახეთის მიმართულებით არსებული გზა გადის მჭიდროდ დასახლებულ სოფლებსა და ქალაქებში, სადაც დასახლებული პუნქტების სპეციფიკიდან გამომდინარე, ხდება ადგილობრივი ავტოტრანსპორტის გამჭოლად გამავალ სარანსპორტო ნაკადებთან შერწყმა-აღრევა, ქვეითად მოსიარულეების მიერ გზით სარგებლობა და ამასთანავე პირუტყვთა მიერ სავალი ნაწილის დაკავება, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ავტოტრასნპორტის გადაადგილებას და საფრთხეს უქმნის როგორც მგზავრთა, ასევე ქვეითთა უსაფრთხოდ გადაადგილებას. აღნიშნული მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გადაადგილების დროსა და ხარჯებზე. ზემოხსენებული გარემოებებიდან გამომდინარე, ახალი 4-ზოლიანი ავტომაგისტრალის მშენებლობა კრიტიკულად აუცილებელია თბილისი-საგარეჯოს და შემდგომ საგარეჯო-ბადიაურის მონაკვეთებისათვის, რომლის მარშრუტიც სრულიად აუვლის გვერდს დასახლებულ პუნქტებს, რაც გაზრდის დერეფნის გამტარუნარიანობას. შემცირდება გადადგილების დრო და ხარჯები, გაიზრდება გადაადგილების სიჩქარეები, საგრძნობლად გაუმჯობესდება საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება და განიმუხტება დასახლებული პუნქტები.

[52] https://www.mof.ge/images/File/2021-biujeti/12-01-2021/16.%20PIM%20Shemajamebeli%20informacia.docx გვ 9;

გასათვალისწინებელია, რომ მონაკვეთი ჩქაროსნული მაგსიტრალის მიმდინარე პროექტის ნაწილია და კონცეფციის დონეზე მისი მშენებლობის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებულია წლების წინ, ჩქაროსნული მაგსიტრალის მშენებლობის დაწყებისას.

12. თბილისის მეტროს პროექტი (EBRD)

თბილისის მეტროს პროექტი „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში, ასევე დაკლასიფიცირებულია როგორც კაპიტალური პროექტი და წარმოდგენილია კაპიტალური პროექტების დანართში პროექტი (პროგრამული კოდი: 55 13 08).

თბილისის მეტროს პროექტი ხორციელდება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) დაფინანსებით, რომლის მთლიანი ღირებულება შეადგენს **75 მლნ ევროს** და ითვალისწინებს მეტროს ვაგონების, არსებული დეპოს და საბურთალოს ხაზის დამაკავშირებელი გვირაბის რეაბილიტაციას. პროექტი წარმოადგენს კაპიტალურ პროექტს, მაღალი სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით, თუმცა ამავე დროს გასათვალისწინებელია პროექტი ითვალისწინებს არსებული სისტემების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას მოძველებული სისტემების განახლების და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს მთავრობის მიერ 2016 წლის 22 აპრილის #191 დადგენილებით დამტკიცებული „საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევის“ შესაბამისად გზამკვლევის მიზნებისათვის კაპიტალური რეაბილიტაცია არ წარმოადგენს საინვესტიციო (კაპიტალურ) პროექტს, თუ არსებითად არ იცვლება აქტივის როლი ეკონომიკურ საქმიანობაში. შესაბამისად, აღნიშნულ პროექტთან მიმართებაში, სამუშაო ჯგუფის მიერ წინასწარი შერჩევის/შერჩევის ეტაპების განხილვა არ მომხდარა.

13. ქალაქ თბილისის საბაგიროების პროექტი (AFD)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი მდგრადი ურბანული მობილობის პროექტის ფარგლებში საფრანგეთის განვითარების სააგენტოსთან (AFD) ერთად ამუშავებდა პროექტს თბილისში საბაგირო გზების განვითარების თაობაზე. მუშაობა მიმდინარეობდა ორ მიმართულებაზე:

- ✓ **მეტრო სარაჯიშვილი - ზღვის უბანი - საორიენტაციო ღირებულებით 35 მლნ ევრო;**
- ✓ **ისანი - ვაზისუბანი - საორიენტაციო ღიღებულებით - 40 მლნ ევრო** და მასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯები).

პროექტის დაფინანსება მოიაზრებოდა საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა და საქართველოს მთავრობას შორის თანამშრომლობის 2021-2023 წლების ჩარჩოს ფარგლებში და ითვალისწინებდა საგრანტო კომპონენტს ევროკავშირის მხრიდან (10 მლნ ევრო).

გასათვალისწინებელია, რომ COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებული კრიზისის შედეგების გათვალისწინებით, 2021-2025 წლებში ფისკალური კონსოლიდაციის საჭიროებიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის მიერ ხდება პროექტების საორიენტაციო გეგმის გადახედვა, რათა უზრუნველყოფილი იქნეს „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ ფისკალური წესების ზღვრებში დაბრუნება და მათი მდგრადი შენარჩუნება. შესაბამისად ამ ეტაპზე აღნიშნული პროექტების სასესხო ხელშეკრულებების ფარგლებში დაფინანსების საკითხი აღარ განიხილება.

გასათვალისწინებელია, რომ პროექტის მოსამზადებელ პერიოდში, საფრანგეთის განვითარების სააგენტოსთან ერთად მომზადდა ქ. თბილისში საბაგიროების პროექტის კოცეფციის ბარათი და წარმოდგენილი იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში. **თუმცა გასათვალისწინებელია, რომ წარმოდგენილი კოცეფციის ბარათი შემუშავებულია სასესხო პროექტის მომზადების მიზნიობრიობით და შესაბამისად არ არის შემუშვებული საქართველოს მთავრობის მიერ 2016 წლის 22 აპრილის #191 დადგენილებით დამტკიცებული „საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევით“ დადგენილი წესით და ფორმით**, შესაბამისად თან არ ახლდა ინფორმაცია კონკრეტული დაშვებების და მონაცემების შესახებ, რის საფუძველზეც მომზადდა ამ დოკუმენტში წარმოდგენილი დასკვნები.

ასევე ხაზგასასმელია, რომ:

- ✓ კონცეფციის ბარათში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია წინასწარი ეკონომიკური კვლევის (ხარჯთ-სარგებლიანობის) შედგების შესახებ (NPV, IRR).
- ✓ კონცეფციის ბარათი შედგენილია საბაგირო გზებს შორის **ტექნიკური თვალსაზრისით სწორი ალტერნტივის განსაზღვრის მიზნით** და არ პასუხობს საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რომ პროექტის კონცეფციის შეფასება მოხდეს მისი ეკონომიკური სარგებლიანობის თვალსაზრისით (კოცეფციის ბარათი მომზადებულია სხვა მიზნობრიობით). კონცეფციის ბარათში წარმოდგენილი ანალიზი ეყრდნობა მხოლოდ ხარჯის ანალიზს და ტექნიკურ გადაწყვეტას (უსაფრთხოება, ტექნიკურად გზის მშენებლობის განხორციელებადობა) და ნაკლებად შეიცავს ინფორმაციას აღნიშნული ხარჯების სანაცვლოდ მისაღები მონეტიზებული სარგებლის შესახებ.

- ✓ კონცეფცია არ ადარებს საბაგირო გზების მშენებლობას, თუნდაც იმავე ღირებულებით საზოგადოებრივი ტრანსპორტის სხვა სახეებს (მხოლოდ ნახსენებია, რომ უფრო იაფია ვიდრე მეტროს გაყვანა), ასევე არ მოიცავს მსჯელობას რას ეფუძნება გამოყენებული დაშვებები, არსებული მოსახლეობის თუ რა ნაწილი გამოიყნებს ტრანსპორტის ამ სახეს, რაც თავის მხრივ პირდაპირ კავშირშია ამ საბაგიეროების მიერ მგზავრთა გადაყვანის მასშტაბების დაგეგმვასთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამუშაო ჯგუფს შესაძლებლად მიაჩნია დაუბრუნდეს საკითხის განხილვას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი განახლებული და საქართველოს მთავრობის მიერ 2016 წლის 22 აპრილის #191 დადგენილებით დამტკიცებული საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევთან შესაბამისი კოცეფციის ბარათის და წინასწარ ეკონომიკური კვლევების შედეგების და მასში გამოყენებული დაშვებების ანალიზის წარმოდგენის შემთხვევაში.

3. GIZ-ის მხარდაჭერით მომზადებული 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტები

EU მხარდაჭერით, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში შერჩეული პროექტების დაფინანსება მუნიციპალიტეტებში. პროგრამა „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში დაკლასიფიცირებულია როგორც კაპიტალური პროექტი და წარმოდგენილია კაპიტალური პროექტების დანართში (პროგრამული კოდი: 55 14 01).

პროგრამის ფარგლებში გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციასთან (GIZ) თანამშრომლობით მომზადდა მუნიციპალიტეტებში კაპიტალური პროექტების შესწავლა და ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზი.

კერძოდ, ეს პროექტებია:

1. ქალაქ ამბროლაურში მახალდიანის ქუჩის მიმდებარე სანაპიროს კეთილმოწყობა
2. ქალაქ ვანში თავისუფლების ქუჩაზე მდებარე სკვერისა და მასზე განთავსებული შენობის რეაბილიტაცია
3. ქალაქ თელავში რეგიონული მნიშვნელობის კულტურული არეალის „მინიატურების პარკის“ მოწყობა
4. ქალაქ რუსთავში მედიათეკის მშენებლობა
5. ქალაქ წნორში, ევდოშვილის ქუჩაზე კულტურისა და დასვენებისა პარკის მშენებლობა
6. ჩოხატაურის ტურისტული მრავალფეროვნების განვითარებისა და ადგილობრივი ბიზნესის მხარდაჭერისთვის (მე-2 ეტაპი) ახალი რეკრეაციულ-მოსასვენებელი პარკის მოწყობა
7. ქალაქ ჭიათურაში ყოფილი პიონერთა სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე რეკრიაციული ზონისა და სკვერის მოწყობა
8. ქალაქ ხონში ბულვარის რეაბილიტაცია

აღნიშნული პროექტების ანალიზი იხილეთ დანართი №3-ში.

III. საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების დანართები

დანართი №1 - საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების რეესტრი

დანართი №2 - საინვესტიციო კაპიტალური პროექტების კონცეფციის ბარათები და ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის დოკუმენტები

დანართი №3 - GIZ-ის მხარდაჭერით 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების ანალიზი